# ცნობის ფურცელი

№ 2095 ხუთშაბათი, 13 მარტი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2095

**ხელმოწერის ფასი:** წელიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზედ უნდა მოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა შუადღის 11—1-დე საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი №

**ამ №-თან ხელის-მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების“ მე-100 №-რი.**

სეტყვის ამაცდენელი ზარბაზანი (მორტირა)

კელენის სისტემისა

„ი დ ე ა ლ“

სახალხთაშორისო კონგრესზე ლიონში **უმაღლესი საჩუქარი** მიუღია. მკვიდრად გაკეთებულია და ხმარებაც **ხულ უშიშრად** შეიძლება. სრულიად რუსეთისათვის ერთად-ერთი წარმომადგენელია **პეტრე ყიფიანი** ტფილისში, ოლგინსკი ქუჩა, სახლი მაკაროვისა. **ტელეფონი 150.** ზარბაზნების საწყობი სარაჯევის სახლშია წყნეთის ქუჩაზე. (0—12)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
ბადალაშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
დ ი ლ ი თ:

**ვ. ი. ბიბინაძე**—კბილის სნეულებანი 9—10 საათამდე.

**ნ. ტ. მუღინი.** ყურის, ყელის და ცხვირის 9—10.

**ვ. დ. ლამბაშიძე**—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

**ვ. ვ. ბადალაშვილი**—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

**დ. ი. კამოევი.**—საშარდე (სიფილისი) ვენეროლ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

**ა. მუსხელოვი:**—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათ $11^1/_2$—$12^1/_2$.

**დ. ა. გედევანიშვილი,** შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

**ვ. ბ. მანსვეტოვი.** შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

**ზ. ნ. ამბარდანოვი**—საიფილისოს, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

**ვრ. ვ. ხოდოლოვსკი**—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

**ა. ვ. ბადალაშვილი**—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

**მუდმივი ექიმი ვ. დ. ნახარიძე.**

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოფტები—სამ მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში). **ტელეფონი № 274** (წ.

წარმოდგენა 42—4. ტელეფონი 617

ქართული თეატრი

კვირას, 16 მარტს, 1903 წ.

◆ **ს. სვიმონიძის საბენეფისოდ** ◆

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

პირველად ახალი პიესა

I

მურად-ფაშა

ისტორ. დრამა 4 მოქმედებ. ბ-ლისა, აზრი აღებულია მეტერლინკის „მონნა ვანადან“.

II

ბედნიერი ცოლქმრობა

ვოდევ. 1 მოქმედებად.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ბ. რიონელი. ბ ბ. გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ა. იმედაშვილი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, რომანიშვილი, დედაბრიშვილი, იორდანოვი და სხვა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად გ. იბსენის პატივსაცემლად „ნორა“, „მედეია“.

რეჟისორი ვ. გუნია.

**ხ**უთშაბათს, 13 მარტს, საღამოს 8 საათზე, კავკასიის სამხედრო ოლქის მთავარ შტაბის სადგომში შესდგება საზოგადო კრება **საიმპერატორო** საგეოგრაფო რუსეთის საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა. კრებაზე განყოფილების ნამდვილი წევრი **ქ. ი. პოდოზერსკი** წაიკითხავს მოხსენებას „კავკასიის მთავარ უღელტეხილის ხანჩარის ბილიკი და სოფ. ფსხუ“. კრებაზე გარეშეთაც შეუძლიათ დაესწრონ უფასოდ. (უ. 3—3)

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

ე ქ ი მ ი

ვ. ლ ა მ ბ ა შ ი ძ ე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. **ტელეფონი 642**

## საზღვარ-გარედ

—

**მაკედონია.** ფრანგულ გაზეთ „მატენ“-ის კორესპონდენტს საინტერესო საუბარი ჰქონია ლონდონში მყოფ სერბიის ელჩთან. მოგვყავს ამ საუბრის შინაარსი:

„თქვენ გსურთ გაიგოთ, თუ რას ვფიქრობ მაკედონიის საქმეების მდგომარეობის შესახებ? ჩემის აზრით, ეხლანდელი მდგომარეობა ეხლა უფრო ცუდი და სერიოზულია, ვიდრე ორის თუ სამის თვის წინად, როცა ავსტრიასა და რუსეთს ახალი დაწყებული ჰქონდათ მოლაპარაკება ოსმალეთთან“.

კორესპონდენტს ჰკითხა მიზეზი, თუ რად უყურებს ელჩი ეგრე პესიმისტურად ეხლანდელ მდგომარეობას.

„აი რატომ: იანვარში და თებერვლის პირველ რიცხვებშიაც მონასტირის ვილაეტის არა ბოლგარელი მცხოვრებნი არ თანაუგრძნობდნენ ბოლგარულ კომიტეტებს და არც დახმარებას უჩენდნენ. მაგრამ გამოუცხადეს თუ არა ავსტრია-რუსეთის პროექტი რეფორმებისა, სერბი, რუმინელი და ბერძენიც-კი მიემხრო ბოლგარულ კომიტეტებს და ეხლა ერთად მათთან მოქმედებენ. შესანიშნავია, რომ კომიტეტების საუკეთესო აგენტები ყველა ეროვნების ქალებია: გადააქვთ იარაღი საჭირო ადგილს და დიდათ ხელს უწყობენ პროპაგანდის საქმეს. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ თვითონ მაჰმადიანებსაც გადააქვთ იარაღი და სხვა სამხედრო მასალა მაკედონელებისათვის. მონასტირის ვილაეტში მეტად გაძლიერდა ამ ბოლოს დროს რევოლიუციონური მოძრაობა. ეხლახან აქ გავრცელდა ხმა, ვითომც მთავრობის ბრძანებით მაჰმადიან ვაჭრებმა მოსწამლეს თამბაქო, შარბათი და სხვა სანოვაგე, რომელსაც ქრისტიანები ხმარობენ; ამიტომაც ქრისტიანები არაფერს არ ჰყიდულობენ მაჰმადიან ვაჭრებისაგან. რასაკვირველია, ასეთი ხმა სიმართლეს მოკლებულია, მაგრამ იგი უფრო ამწვავებს მაჰმადიანებისა და ქრისტიანების დამოკიდებულებას.

— ბევრია რევოლიუციონერები?

— თითოეული რაზმი რევოლიუციონერებისა რიცხვ-მცირეა, მაგრამ თვით რაზმების რიცხვი ერთობ დიდია და საკვირველის სიჩქარით მოძრაობენ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ რაზმებისა კიდევ იმაში იხატება, რომ მათი ნამდვილი სარდალი ან მღვდელია ან სოფლის მასწავლებელი. ვიმეორებ, ბოლგარულ კომიტეტების მოქმედებას მხარი მისცეს სხვა ერების წარმომადგენლებმაც და ეს გარემოება მეტად დიდმნიშვნელოვანია მომავლისათვის.

— როგორა გგონიათ, ავტონომია რომ მისცეს ოსმალეთის მთავრობამ მაკედონიას, დაწყნარდებოდა ხალხი?

— დაბეჯითებით ვერას გეტყვით; მაკედონიის მომავალი ძნელი გამოსარკვევია. ეხლანდელი მოძრაობა მიმართულია არა მარტო ოსმალეთის ცუდ მართვა-გამგეობის წინააღმდეგ, რევოლიუციონერები ამ მართვა-გამგეობის გაუმჯობესებას როდი სცდილობენ... ოსმალეთის კარგი ადმინისტრაცია მათ ვერ დააკმაყოფილებს; ბოლგარულ კომიტეტებისა და მათთან ერთად მომქმედ ჯგუფების სურვილია, რომ თავიანთ თავისა და ბედის ბატონ-პატრონები თვითვე იყვნენ. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ნამდვილად განხორციელებული რეფორმებიც კი ვერ დაამშვიდებენ ქვეყანას“.

**ინგლისი.** ახლად არჩეულ დეპუტატ კრუქსის საინტერესო ბიოგრაფიული ცნობებია მოთავსებული გაზეთებში. კრუქსი დაიბადა 1852 წელს, მაშასადამე, იგი ეხლა ორმოცდა-ათი წლისაა. იგი ადრე დაობლდა და სხვა ექვს და-ძმასთან ერთად დედის შესანახი გახდა. საბრალო დედა მრეცხაობდა და სხვა მძიმე მუშაობას ჰკიდებდა ხელს, რომ რამეფერად გამოეკვება წვრილი შვილები. მაგრამ ბოლოს საქმე ისე გაუჭირდა, რომ თავის შვილებით ერთად ღარიბების თავშესაფარში გადავიდა საცხოვრებლად. კრუქსს ძალიან კარგად ახსოვს თურმე ეს დრო. რამდენიმე ხნის შემდეგ შრომის-მოყვარე ქალი ისევ გამოეწერა თავშესაფარიდან და კრუქსმაც სკოლაში დაიწყო სიარული, თან პატარა სამუშაოც იშოვა ერთ მერძევესთან: სკოლიდან რომ დაბრუნდებოდა, მუშტრებს რძეს ჩამოუტარებდა. სკოლას მალე დაანება პატარა კრუქსმა თავი ძ თერთმეტი წლისა იყო, რომ სამჭედლოში შევიდა შეგირდად. იმ დროს კიდევ არ იყო გამოცემული კანონი, რომლითაც აკრძალულია პატარების მუშაობა ფაბრიკა-ქარხნებში, და პარლამენტის მომავალი წევრი, დილიდან საღამომდე, რამდენადაც მისი პატარა ძალ-ღონე ნებას აძლევდა, საბერველს ბერავდა ან ჩაქუჩს სცემდა გრდემლს. როცა თოთხმეტის წლის შეიქნა, დედამ გამოიყვანა სამჭედლოდან და ბოჭკის მკეთებელთან დააყენა, სადაც იგი მთელი შვიდი წელიწადი მუშაობდა.

## ფელეტონი

—

### საზოგადოებრივი პიესები იბსენისა*)

> „იბსენი მსაჯულია და თან
> სასტიკი მსაჯული, ვით მსაჯულნი ძველის ისრაელისა“.
> გ. ბრანდესი.

„თუ დრამას ასულდგმულებს ბრძოლა, ამბობს შტეიგერი, არასოდეს არა ჰქონია პოეტს დრამატურგს ისეთი კარგი ნიადაგი, როგორიც აქვს ჩვენს დროში, როდესაც მის თვალ წინ სიკვდილს ებრძვის დაუძლურებული მიხრწნილი ცხოვრება და იბადება ახალი საშინელის ტანჯვითა და მწუხარებით, როდესაც ფეხს ქვეშ ნიადაგი შეერყა მშვიდობიანობას დაჩვეულს ადამიანს და ფეხები უკანკალებს გუშინდელი დღის თაყვანისმცემლებს, როდესაც ჰაერში წამ და უწუმ გაისმის ბრძოლის ხმა და შეუკავებელის ენერგიით ებრძვიან ერთმანეთს ერთიმეორის მოწინააღმდეგე აზრები“.

კაცობრიობის ხელოვნებამ განვლო სხვა და-სხვა ხანა: იყო პლასტიკური ხანა, იყო მხატვრული, ფერადული და მუსიკალური. საბერძნეთის მთელს პოეზიას რაღაც ცივი ელფერი ადევს, ყველაფერი ისე უძრავია, როგორც მარმარილოს ქანდაკება; ტრაგედიაში, პოემაში, ლექსში დახატულია საზოგადოდ ადამიანი და სრულებით არ მოიპოვება შიგ პიროვნული, ინდივიდუალური, ამა თუ იმ ადამიანის განსხვავებული სულიერი მდგომარეობა. ამის მიზეზი იყო ის, რომ საბერძნეთში ადამიანები დამონებულნი იყვნენ სახელმწიფოს მიერ, რომელიც ერთგვარ კალაპოტზე ასხამდა ყველას. მაშინ არც კი იყვნენ ადამიანები, იყვნენ მარტო თავისუფალნი მოქალაქენი და მონები.

სულ წინააღმდეგ სურათს წარმოადგენს აღორძინების ხანა, როდესაც საშუალო საუკუნოების ღრმა ძილისაგან გამოფხიზლებულმა პიროვნებამ დაიწყო თავისუფლად სუნთქვა, თავისუფალის გრძნობითა და ფიქრით ცხოვრება. ამ განთავისუფლებულმა ადამიანმა იგემა ბუნების სიმშვენიერე, ყველაზე უწინარეს მისი თვალები დასტკბნენ ათასგვარ ფერადით, ყვავილებით, ამწვანებულის ბუნებით, ოქროსფერ სხივებით, ცისფერის ზღვის წყნარის ღელვით. ცხოვრებას ჰგრძნობდნენ როგორც ფერადებში მორთულს, და პოეზიაც მხატვრულის ფერადებით იყო შემკული და მორთული. არ იყო არც ფიქრი და არც გრძნობა ფერადების გარეშე, ფერადები შეიქნა ფორმულა ცხოვრების შეგნებისა და დახატვისათვის.

ამ ხანას მოჰყვა მუსიკალური ხანა ხელოვნებისა. ქვეყანამ, რომელიც ამდენ ხანს მარტო მარმარილოსა და ფერადებში იყო განხორციელებული, ხმა ამოიღო და თითქოს ჰლამობდა ორს საუკუნეში მოეპოვებინა, რაც ვერ შეიძინა კაცობრიობამ რამდენიმე ათასის წლის განმავლობაში. მუსიკალური მიმართულება გამოიხატა არა მარტო მუსიკის გენიოსების ნაწარმოებში, როგორიც არიან ბახი, მოცარტი, ბეტჰოვენი, ვაგნერი, მუსიკალურ ლირიზმით იყო გამსჭვალული გეტეს ვერტერი, ფაუსტი, იფიგენია, შილლერის ტრაგედიები და მრავალთა სხვათა პიესები, რომანები, ლექსები. ეს იყო ხანა, როდესაც ხელოვნებამ მოინდომა ინდივიდის (პიროვნების) სულის შთაჰბერვა, მისი გაგება და დახატვა, მაგრამ ეს დახატვა არ იყო სრული, რადგან თუმცა მუსიკას შეუძლია, ღრმად ჩაიხედოს ადამიანის სულში, მაგრამ შეუძლია დაასურათოს სულიერი მდგომარეობა მხოლოდ საზოგადოთ და არა დეტალურად.

ჩვენი დრო დრამატიული ხანაა. დაწვრილებით. ზოგიერთს უმეცარს ჰგონია, რომ დრამატიული ხელოვნება მოკვდა, მისი საუკეთესო ხანა წავიდა, ჩვენს უკან არის. ასეთი აზრი მოკლებულია ყოველგვარს საფუძველს, ასე შეუძლია იფიქროს მარტო მას, ვინც არ იცნობს დღევანდელს ცხოვრებას და არც იცის, თუ რა შეადგენს ხელოვნების არსებას. თვითონ აწინდელი ჩვენი ცხოვრება არსებითად დრამატიულია და ხელოვნებამაც აუცილებლივ უნდა მიიღოს მისი ელფერი. დრამა მოძრაობაა, მოქმედება, ცხოვრება. და კაცობრიობას ცხოვრება არასოდეს არ ყოფილა ისეთი ინტენსიური, როგორც არის დღეს, როდესაც ადამიანის ყოველი ნაწილი ძილის დროსაც სიცოცხლით დუღს, ადამი-

---

*) ე. შტეიგერი: ახალი დრამა. რ. ლოტარი: ჰენრიკ იბსენი. გ. ლანდსბერგი: ძირს ჰაუპტმანი. (უკანასკნელი სათაურიდან მკითხველმა ის დასკვნა არ უნდა გამოიყვანოს, ვითომც ავტორი უარჰყოფდეს ჰაუპტმანის ძლიერს ნიჭს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა კრუქსი დამოუკიდებელი მუშა გახდა, მაგრამ ამ დროს გაფიცვაში მიიღო მონაწილეობა, დაჰკარგა სამუშაო და მთელი წელიწად-ნახევარი დიდ გაჭირვებაში ცხოვრობდა. ბოლოს ისევ მიიღეს, სადაც წინად მუშაობდა, და ამის შემდეგ დიდი მატერიალური გაჭირვება აღარ უნახავს. მაგრამ კრუქსი დიდ ყურადღებას არც კი აქცევდა თავის პირად მატერიალურ მდგომარეობას; იგი ახალგაზრდობიდანვე გაიტაცა საზოგადოებრივ მოღვაწეობამ: იღებდა ენერგიულ მონაწილეობას თავის უბნის ყველა დაწესებულებაში, სხვათა შორის, იმ თავშესაფარის თავმჯდომარეც გახდა, სადაც ბავშვობისას სწავლობდა; უბანმა იგი ლონდონის საბჭოს ხმოსნად და თავის მერად აირჩია; სხვა სიპატიო თანამდებობაც ჰქონია ნაკისრი დაუღალავ მუშას. ბოლოს, როგორც ვიცით, პარლამენტის წევრადაც აირჩიეს ვულკიჩის ამომრჩევლებმა.

## ახალი ამბავი

◆ როგორც პეტერბურგიდან დეპეშით გვატყობინებენ, **პოეტი გრ. აბაშიძე** გარდაიცვალა 9 მარტს, საღამოს ხუთ საათზე. დღეს, 13 მარტს, დროებით დაასაფლავებენ პეტერბურგში. ქუთაისის ინტელიგენციას აზრადა აქვს გარდაცვალებულ პოეტის გვამი ქუთაისში ჩამოასვენოს.

◆ როგორც შევიტყეთ, რამდენსამე პირს განზრახვა აქვს **„ახალ ბიბლიოთეკის“** სახელით ყოველ წელს გამოსცეს რამდენიმე სერია ნათარგმნ და ორიგინალურ წიგნებისა. წელს პირველ აპრილიდან წლის განმავლობაში გამოვა შემდეგი ექვსი წიგნი: 1) „საბერძნეთის ისტორია“, პროფ. შარლ ნორმანისა, ფრანგულიდან ნათარგმნი ვ. ლ—ძისა, 2) იბსენის ოთხი დრამა—„საზოგადოების ბურჯნი“, „ნორა“, „მოჩვენებანი“ და „ხალხის მტერი“, 3) მ. კოვალევსკისა—„როგორ გაჩნდა ოჯახი და საკუთრება“, 4) ჰიერინგისა—„ბრძოლა უფლებისათვის“ 5) შილერისა—„ვილჰელმ ტელი“ გერმანულიდან ლექსად თარგმნილი იაზ. ბაქრაძის მიერ და 6) პოლიტიკური ეკონომია, ა. ბოგდანოვიჩის წიგნიდან გადმოკეთებული.

◆ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განკარგულება მოუხდენია რომ **რუსეთიდან გადმოსახლებულთ** მიეცეთ კავკასიაში უვადოთ სახელმწიფო მიწები.

◆ 11 მარტს, საღამოს, მოხდა შეერთებული სხდომა ტფილისის ქალაქის გამგეობისა და იმ კომისიისა, რომელსაც დავალებული ჰქონდა შეემუშავებინა პირობანი უსახელო საზოგადოებასთან ტფილისში **ჰიდრავლიურ სადგურის** გაკეთების შესახებ. როგორც გადმოგვცეს, შეერთებული კრება არ დასთანხმებია კომისიას იმ სხვა და სხვა შეღავათის შესახებ, რომელიც, კომისიის პროექტით, უნდა მიენიჭოს უსახელო საზოგადოებას. კრების ზოგიერთ წევრის გამონაკლისით, უსახელო საზოგადოებას, თუ კომისიის აზრი დამტკიცდა, წელიწადში 75 ათას მანეთზე მეტი წმინდა შემოსავალი ექნება; საზოგადოდ, უსახელო საზოგადოება ბევრად მეტს ისარგებლებს სადგურით, ვიდრე საფიქრებელი იყო, ხოლო ქალაქს ნაკლები სარგებლობა ექნებაო. ამიტომ შეერთებულმა კრებამ დაადგინა შესცვალოს პირობები ამნაირად: 1) ელექტრონულ ტრამვაის ექსპლოატაციის ვადად დაინიშნოს არა 10 წელიწადი, როგორც კომისიამ გადასწყვიტა და არა 14, როგორც უსახელო საზოგადოება თხოულობდა, არამედ 5 წელიწადი; 2) გამოსყიდვის ვადად დაიდოს 4 წელიწადი და არა 10 წელიწადი, როგორც უსახელო საზოგადოება თხოულობდა; 3) განთავისუფლებულ იქმნას უსახელო საზოგადოება შუაბაზარზე ტრამვაის გასაყვანად საჭირო მიწების შეძენისა და ამისთვის 400 ათასი მან. დახარჯვისაგან იმ პირობით-კი, რომ საზოგადოებას ნება ჰქონდეს სხვა გზით შეაერთოს ტრამვაით თათრის მოედანი და ქალაქის შუაგული, რომლითაც არ დასჭირდება იმდენის ფულის დახარჯვა მიწების გამოსასყიდათ; 4) ტრამვაის გაკეთებს ვადა ერთის წლით გაგრძელდეს; 5) ნება დაერთოს უსახელო საზოგადოებას ქუჩების მოსაკირწლავად ავანსი იხადოს 50 ათასი მან. წელიწადში; 6) დაეკისროს უსახელო საზოგადოებას მუხრანის ხიდის გაკეთება (უსახელო საზოგადოება კისრულობდა ამისთვის მხოლოდ 100 ათასი მანეთის გადადებას); 7) გამოიცვალოს ზოგან ტარიფი ტრამვაით მოგზაურობისა; მაგალითად, შემოღებულ იქმნას 6 კაპ. შაურის ნაცვლად იქ, სადაც ერთ ვაგონიდან მგზავრი მეორეში უნდა გადაჯდეს; ამ რიგად ტარიფი რთულდება და ცოტათი კიდეც მატულობს; 8) უსახელო საზოგადოებას ევალება ჰიდრავლიურ სადგურიდან მისცეს ქალაქს ელექტრონი ქუჩების გასანათებლად წელიწადში 600 ათასი კილოუატი, თითო 6 კაპ., ამაზე ზედმეტი რაც ქალაქს დასჭირდება 3 კაპეიკად. შეერთებულმა სხდომამ გადასწყვიტა ეს პირობები აცნობოს უსახელო საზოგადოების წარმომადგენელს, რაც კიდევაც შეასრულა გუშინ ქალაქის მოურავის მოადგილემ.

◆ **ქალაქი ოზურგეთი**, როგორც პეტერბურგიდან ოფიციალურ გაზეთს ატყობინებენ, სამის წლით განუთავისუფლებიათ პოლიციის შენახვის ხარჯისაგან.

◆ უწმ. სინოდს, როგორც „ნ. ო.“-ს გაუგია, ნება-დაურთავს სამრევლო საეკკლესიო სკოლებში გაიმართოს ხოლმე **მოზრდილთათვის სახალხო** კითხვები და ზნეობრივ სარწმუნოებრივი საუბრები.

◆ უმაღლესს მთავრობას, როგორც რუსულ გაზეთებს ატყობინებენ, საბოლოოდ გადაუწყვეტია გამოაცალკევოს ქუთაისის გუბერნიისაგან **ბათუმისა და ართვინის ოლქები** და სრულიად დამოუკიდებელი ოლქი შეადგინოს. ეს გამოცალკევება მოხდება მდგომარე წლის პირველ ივლისს. საოლქო გამგეობა დაწესდება ბათუმში.

◆ 11 მარტს ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა საკითხი ქალაქის თვითმმართველობაში მოსამსახურეთა ურთ ერთ **დამხმარებელ კასსის** დაარსების შესახებ, გამგეობამ დაადგინა, დაავალოს ხმოსანს ა. ს. ბაბოვს გადაათვალიეროს წინანდელ კასის წესდება და მოხსენება წარუდგინოს გამგეობას იმის შესახებ, რა ცვლილებაა საჭირო ამ წესდებაში. წესდების დამტკიცების შემდეგ გამგეობა შეუდგება კასის დაარსებას.

◆ 11 მარტს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ განიხილა მოხსენება ინჟენერ მაევსკისა **მიწა ადგილის მორწყვის მნიშვნელობის** შესახებ. ბ-ნმა მაევსკიმ ცნობები მოიყვანა საფრანგეთისა, იტალიისა, გერმანიისა და ევროპის სხვა სახელმწიფოთა ცხოვრებიდან, სადაც სარწყავ არხებისათვის დიდძალი ფული იხარჯება. მაევსკის აზრით, ჩვენში ერთბაშად დიდის ფულის დახარჯვა სარწყავად არ შეიძლება, რადგან ადგილები გავერანებულია და არ ვიცით, იმათი მორწყვა მოგვცემს რასმეს თუ არა. კერძოდ მოხსენებელი მუღანის მინდვრის მორწყვასაც შეეხო. წყალთა ინსპექციამ პროექტი წარუდგინა მიწათ-მოქმედების სამინისტროს. ამ პროექტით უნდა გადაიდვას მუღანის მინდვრების მოსარწყავად 6 მილიონი მანეთი. ამდენის ფულის გადადება შეცდომა იქმნებაო, სთქვა მაევსკიმ. მუღანის მინდორში მარილნარევი მიწაა, რომელიც უხვ რწყვის დროს ზედა პირს ირეცხავს, ზევით იწევს და ამ დროს-კი არავითარ მცენარეს ნაყოფიერად გახარება არ შეუძლიან. პირველად სარწყავად იმდენი წყალი უნდა იქმნას გაყვანილი, რამდენიც საჭიროა ნიადაგის გასალბობად და მცენარის გასახარებლად. ნელ-ნელა ასეთი მორწყვა ნიადაგს გაანაყოფიერებს, ხალხი დაესახლება და ამის შემდეგ შეიძლება მეტის ხარჯის გაწევა უხვად მორწყვისათვის. მაევსკის მოხსენებამ დიდი კამათი გამოიწვია. კრებამ დაადგინა: აღძრას კიდევ ხელმეორედ შუამდგომლობა, რომ ნება მიეცეს საზოგადოებას ისეთ საკითხების განხილვის დროს, როგორც ბ-ნ მაევსკის მოხსენებაა, კრებაზე მოიწვიოს ხოლმე წყალთა ინსპექციის წარმომადგენელი; სთხოვოს სამინისტროს გამოიკვლიოს სპეციალისტების საშუალებით, როგორ ჩნდება კავკასიის ზოგიერთ ადგილებში მარილ-ნარევი ნიადაგი, რადგან საჭიროა ეს გამოკვლევა სამინისტრომ სახეში იქონიოს იმ დროს, როცა განიხილავს წყალთა ინსპექციის პროექტს მუღანის მინდვრის მორწყვის შესახებ.

◆ მკითხველს ეხსომება, რომ **ტფილისს გადახდა** 16 ათასი მანეთი ვადა გათავებულ **ჯარის-კაცთა სადგომების დასაქირავებლად.** სენატმა უკანონოდ იცნო ეს გადასახადი და ქალაქის მოურავმა შუამდგომლობა აღძრა 16 ათას მანეთის დაბრუნების შესახებ.

◆ რამდენი ხანია ცხენის რკინის გზისათვის **ლიანდაგი გასდეს წყნეთის** ქუჩაზე, მაგრამ ვაგონების სიარულს არაფერი ეშველა. ქალაქის გამგეობამ მხოლოდ ეხლა მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება და დაავალა ცხენის რკინის გზის თვალ-ყურის მდებელ კომისიის თავმჯდომარეს, დაუყოვნებლივ დაათვალიეროს ეს ლიანდაგი, რომ ვაგონების მიმოსვლას შეუდგნენ.

◆ საგუბერნიო სამკურნალო გამგეობამ ექიმი ბროძელი გაჰგზავნა გორისა, ახალციხისა და და ახალ-ქალაქის მაზრებში **გავრცელებულ სენთა** მოსასპობად ზომების მისაღებად.

◆ მკითხველებს ეხსომებათ ის დავა, რომელიც **ხაზინამ იოსელიანის მემკვიდრეებს** აუტეხა ბათუმში მდებარე 478 დესეტინა მიწის გამო. შარშან ეს დავა ტფილისის სასამართლო პალატამ განიხილა და ადგილი ხაზინას მიუსაკუთრა. ამ გადაწყვეტილების გამო იოსელიანის მემკვიდრეთ საჩივარი გაჰგზავნეს სენატში, მაგრამ სენატს 13 თებერვალს განუხილავს იგი და უყურადღებოდ დაუტოვებია.

◆ **დიდუბის მცხოვრებთ** გუშინ განცხადება წარუდგინეს ქალაქის გამგეობას. დიდუბელნი სწერენ, წვიმიანობის დროს დიდის ნიაღვრებისაგან განსაცდელი მოგველის, რადგან რაც აღმოსავლეთის მხრით გორებიდან წყალი დაიძვრის, ერთ პატარა არხში იყრის თავს და ჩამოდის დიდუბეზე; არხი ძალიან ვიწროა, შეიძლება წყალი ნაპირებიდან გადავიდეს და დიდი ზარალი მოგვაყენოსო. ამიტომ თხოულობენ, გამგეობამ იღონოს რამ ან არხის გასაფრთოებლად.

◆ ტფილისის სასწავლებელთა გამგე კომისიამ განიხილა გეგმა **ხელოსნის პირველ დაწყებით სკოლისათვის** საკუთარ შენობისა. შენობასთან უნდა აშენდეს ქალაქის მიწაზე სკოლის გამგეს ცხოვრებელი სახლიც. კომისიამ დაადგინა დაუბრუნოს გეგმა უკანვე გამგეობას და სთხოვოს განკარგულება მოახდინოს, სკოლასთან ნუ იქმნება მოთავსებული ზედამხედველის სადგომი. კომისიის აზრით, თუ ეზოში ცალკე ადგილი არ არის, უნდა მიეცეს სადგომის ქირა ზედამხედველს. კომისიამ სთხოვა აგრეთვე გამგეობას 1 ივლისამდე ააგონ შენობა, რადგან სკოლამ ძველი სადგომი ამ დროს უნდა დასცალოს.

◆ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა, ქალაქის საყასბოს მახლობლად, საღორიის აგარაკში გაიმართოს რკინის გზის ბაქანი, რომ შეიძლებოდეს საქონლის გაგზავნა-მიღება და აგრეთვე მგზავრთა მიმოსვლა.

◆ კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა შეემუშავებინა პროექტი **დიდის მთავრინას ოლღა თეოდორეს ასულის** ძეგლის დასადგმელად, დაასრულა თავისი მუშაობა. კომისიის აზრით, რადგან ძეგლისთვის პატარა ადგილია დანიშნული, იქ (ქალთა 1-ლ გიმნაზიისა და სასახლის შუა მოედანზე) უნდა დაიდგას ბრინჯაოს ქანდაკი $2^1/_2$ არშ. სიმაღლისა ქვის საძირკველზე. ბ. ხოდოროვიჩის გამოანგარიშებით, ასეთი ძეგლი დაჯდება 10—12 ათასი მანეთი, რომლიდან 2 ათასი მან. ქალაქმა უნდა იკისროს, დანარჩენი ხელის მოწერით უნდა შეგროვდეს.

◆ მოსკოვის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებასთან არსებულ სამეცნიერო მუზეუმში დაწესებულ იქმნა ვ. ლევინსკის მიერ შეწირულ თანხით ყოველ წელს მიეცეს ოქროს მედალი იმას, ვინც მუზეუმში წარადგენს **სამეცნიერო გამოკვლევას** სასოფლო მეურნეობის რომელისამე დარგის შესახებ და ან იმათ, ვინც გამოფენების დროს (სა-

---

ანის ნერვებს ერთს წუთსაც რა აქვთ მოსვენება, როდესაც პიროვნება ტიტანისებურ ენერგიით ამსხვრევს ბორკილებს, არღვევს ზღუდეებს და მიისწრაფვის—მეტის და მეტის თავისუფლებისა და არსებობის გაფართოვებისაკენ, როდესაც ადამიანის სულმა ფრთები გაშალა, ამოძრავდა და ამ თვალმიუწდომელ ქვეყანაზე ვერ მოუპოვებია მყუდრო ბინა, როდესაც ერთი ადამიანის ცხოვრება არის ცხოვრება მთელს ქვეყნისა, რადგან ერთი ადამიანი მეორესთან არის გადაბმული ურიცხვის ქსელით.

ცხოვრება გართულდა, ცხოვრება სავსეა დრამატიზმით, გაფართოვდა ადამიანის პიროვნება. ხელოვნების საგანი ყოველთვის ერთი და იგივე იყო და იქნება მუდამ: ჩვენი სულიერი მდგომარეობის დახატვა, ჩვენი ჭირის და ვარამის, სიხარულისა და ბედნიერების. ყოველგვარს სურათს ბუნებისას, ცხოვრების ყოველგვარს ცვლილებას იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენად ასე თუ ისე მოქმედებს ჩვენის სულის მდგომარეობაზე, და ხელოვნებასაც აინტერესებს ყველაფერი მხოლოდ ამ მხრივ. მაგრამ რითი შეიძლება დახატვა დღევანდელის გართულებულის ვითარებისა, პიროვნებისა, ადამიანის სულისა? შეუძლებელია მშრალის აწერით, თუნდ მეტად მხატვრულის აწერით, ქანდაკებით, ტილოზე დახატულის სურათებით ჩაგვახედოს ხელოვნებამ დღევანდელს ვითარებაში. ასე იოლად ვერ გვაგრძნობინებს პოეზია ეხლანდელის სულის ტანჯვას და მისწრაფებას, რომელსაც ღრმად დამალული იდუმალი კუნჭულები აქვს. ჩვენთვის დღეს მიკროსკოპის შემწეობით ხილულნი შეიქნენ უხილავი ნივთები. და ასეთს სისრულეს ვთხოულობთ ხელოვნებისგანაც. ვთხოულობთ, რომ ხელოვნებამ, რაც შეიძლება, სავსებით გვაგრძნობინოს ცხოვრება, ის ცხოვრება, რომელიც მეტად მოძრავია და მოძრავს, ცოცხალს დასურათებას მოითხოვს. დღევანდელი ცხოვრების დუღილის უბრალო აწერა რაღაც ანორმალურად, არაბუნებრივად გვეჩვენება. გვინდა ცხოვრება ცხოვრებად, ცოცხალ ცხოვრებად, და ეს შეუძლია მხოლოდ დრამატიულს პოეზიას, ცხოვრების წარმოდგენას, როდესაც ხელოვნება მოქმედობს ყველა ჩვენის გრძნობის ორგანებზე, დახატული ცხოვრება ღებულობს ნამდვილს სახეს.

ამიტომ დრამას და თეატრს განვითარება მოელის და არა დაცემა, დრამის ბრწყინვალე ხანა წინ არის. ჩვენ ვსთქვით, დღეს დრამატიული ხანა არისო. მაგრამ დღეს დასაწყისია მხოლოდ დრამატიულის ხანისა. ახალი დრამა იბადება, იბადება დიდის ტანჯვით და შრომით. მრავალის შრომაა შეერთებული ამ დიდებულ საქმისათვის, ყველგან ძიება და კვლევაა. ნატურალისტები, იდეალისტები, სიმბოლისტები, დეკადენტები ყველანი ეძებენ ახალს დრამას. იბსენი, ჰაუპტმანი, მეტერლინკი, ანუნციო, ზუდერმანი—დრამის ბრწყინვალე მომავალის წინამორბედნი არიან, პირველ მერცხლებივით გვაუწყებენ დრამის და თეატრის აყვავებას. მათში ყველაზე ძლიერია, ყველაზედ უფრო ღრმად ესმის ახალი დრამის მნიშვნელობა და ყველაზე მეტად მოქმედობს ჰენრიკ იბსენი, გენიოსის ნიჭით მოსილი ნორვეგიელი.

არც ერთს მწერალს არა აქვს დღეს მოპოვებული ისეთი პატივისცემა და სახელი, როგორიც მოიპოვა ევროპასა და ამერიკაში იბსენმა. მისი სასტიკი კრიტიკა თანამედროვე ცხოვრებისა და წესწყობილებისა ყოვლად შემმუსრველია, არავის არ დაუხატავს დღევანდელის სიყალბის და სიცრუის საზიზღრობა ისე, როგორც ეს დახატა იბსენმა. მისი გაბედული და მედგარი ბრძოლა პიროვნებისათვის სტიქიურად ამხნევებს ადამიანს და ულვიძებს უკეთეს მომავალის იმედებს. მისი ზოგიერთი პიესა უნებურ გაკვირვებას იწვევს მაყურებელში. „ნორა“ საშინელი კვნესაა დამონებულის ქალისა და იშვიათი პროტესტი ათასის წლობით დაჩაგრულის პიროვნებისა. „მოჩვენებანი“ საუკეთესო და მასთან ერთად-ერთი ტრაგედიაა ჩვენი დროის. მის „ტახტის მაძიებლებს“ adარებენ შექსპირის პიესებს და ამ დრამის ზოგიერთ სცენაში შექსპირისაზე მაღლა აყენებენ კრიტიკოსები იბსენის ნიჭს. იბსენის დრამები სარეპერტუარო პიესებია დღევანდელ სცენაზე. გერმანიაში განსაკუთრებული თეატრიც კი არსებობს იბსენისათვის; ეს თეატრი მოგზაურობს სხვა-და-სხვა ქალაქებში და ას-ასჯერ არდგენს იბსენის თითოეულ პიესას.

საუბედუროთ, ჩვენი საზოგადოება ძლიერ ნაკლებად იცნობს იბსენს. ქართულს ენაზე არ არის დაბეჭდილი არც ერთი მისი პიესა. ჩვენს თეატრში ყოველგვარ უმსგავს პიესებს დგამენ, მაგრამ წლები გადის და იბსენის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეო საზოგადოებასთან) წარადგენს საუკეთესო ექსპონატებს. მუზეუმის კომიტეტი ატყობინებს ამ ამბავს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს და სთხოვს ამა 1903 წლის 1 სექტემბრამდე წარუდგინოს სია იმათი, ვინც ღირსნი არიან ოქროს მედლის მიღებისა.

◆ 11 მარტს სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ქუთაისის გუბერნიის მცხოვრების კონსტანტინე ფერნაძისა, რომელსაც კაცის მოკვლა ჰბრალდებოდა. ქუთაისის ოლქის სასამართლოს ფერნაძე დამნაშავედ უცვნია და ზოგიერთ ღირსების ჩამორთმევა და პატიმართა-გამასწორებელ რაზმში 3 წლით და 9 თვით გაგზავნა გადაუწყვეტა. პალატამ სასჯელი ფერნაძეს ორის წლით საპყრობილეში დაპატიმრებად შეუცვალა.

◆ ამავე დღეს პალატამ დაამტკიცა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც რაჭის მაზრის მცხოვრებს ნოშრევან ნიკაჭაძეს მეზობლის მოკვლისათვის 2 წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა ჰქონდა გადაწყვეტილი.

◆ ქალაქის გადამდებ სენით საავადმყოფოებში უკანასკნელ კვირის განმავლობაში ყოფილა სულ 47 ავადმყოფი. აქედან 34 კაცი ხუნაგით ყოფილა ავად. როგორც სჩანს, ეს სენი ძალიან გავრცელდა ქალაქში.

◆ 11 მარტს, საღამოს 11 საათზე, ბოტანიკურ ქუჩაზე მაჰმედ-მირზაევმა ჩხუბის დროს ორს ადგილას დანით დასჭრა მეეზოვე დავით სარაჯევი.

◆ მაწანწალა ძაღლების მჭერელს თებერვალში დაუჭერია 102 ძაღლი; აქედან 9 ისევ დაუბრუნებია პატრონებისათვის, დანარჩენნი დაუხოცინებია.

◆ მთელს ტფილისში 3-დან 10 მარტამდე სხვა-და-სხვა გადამდებ სენით ავადმყოფი ყოფილა 40 კაცი. უფრო გავრცელებულია ყელისპირვება, ხურვება და სოფლე,

# რუსეთის ქრონიკა

◆ ვაჭრობისა და მრეწველობის დამხმარებელმა კომიტეტმა განიხილა საკითხი მუშათა დამზოგავ კასსების შესახებ. კომიტეტმა საჭიროდ სცნო ამ გვარი კასსა ყველა ქარხანასთან დაარსდეს. თუ კასსა ვერ დააარსა რომელმამე ქარხანამ, უნდა აცნობოს ეს გარემოება ქალაქის საქარხნო ინსპექციას, რომელიც ერთ კასსას დააარსებს რამდენსამე სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებისათვის, კასსის საქმეები უნდა განაგოს მუშათა და ქარხნის პატრონთა რწმუნებულების საზოგადო კრებამ. რწმუნებულად შეიძლება არჩეულ იქმნას ყველა მუშა, 25 წლისაზე არა უმცროსი.

◆ 5 მარტს ოლქის სასამართლო შეუდგა ეკატერინოდარში იმ უწესოების საქმის განხილვას, რომელიც მოხდა ტიხორეცკის სადგურზე. პასუხის გებაში მიცემულია 15 კაცი, მოწმედ დაბარებულია—94. ბრალდებულთ იცავენ: მოსკოველი ვექილები მალიანტოვიჩი, ტესლენკო, სკლიარი, პეტერბურგელი—ვოლკენშტეინი, ეკატერინოსლაველი—ალექსანდროვი, ხარკოველი—რაპი და ლოშკევიჩი, ეკატერინოდარელი—შირსკი, სტავროპოლელი—ლევიცკი და ვორონეჟელი—კორიაკინი.

◆ „ნოვ. ვრემია“-ს შემდეგ ამბავს ატყობინებენ კამიშინიდან: „ქალაქ დუბოსარს გლეხებმა ალყა შემოარტყეს. მიზეზი—რიბალენკოს ბავშვის უკვალოდ დაკარგვა. ეს ბავშვი ებრაელის დუქანში შესულა თამბაქოს საყიდლად და იქიდან აღარ გამოსულა. მეორე დღეს გვამი ბაღში იპოვნეს; მუცელსა, კისერსა და თავზე 18 ჭრილობა ჰქონდა. ბევრსა ჰგონია, რომ ებრაელებმა მოჰკლეს. მკვლელი ჯერ ვერ აღმოაჩინეს.“

# პრესსა

რაც დრო მიდის, „კვალი“-ს პუბლიცისტები უფრო და უფრო შორს მიდიან და უფრო და უფრო ეფლობიან თავიანთ „უმწიკვლო“ მიმართულებაში. ჩვენ ხომ, ვინ იცის, რა სისაძაგლე არ დაგვწამეს; ეხლა, ჩვენის მიზეზით, მოსდგომიან სხვა დაწესებულებათა და პირებს და სცდილობენ ლაფში ამოსვარონ. თუ ბანკმა ფული ასესხა ვისმე, ეს იმიტომ-კი არა, რომ მისთვის ეს ხელსაყრელი არის და მხოლოდ იმისთვის არსებობს; არა, მხოლოდ მისთვის, რომ ნათესავ-მეგობრებს ასიამოვნოს და შემდეგ, საჭირო დროს, მსესხებელი დაიხმაროს ან თავის ნათესავ-მეგობრებს დაახმაროს. ვინმე მოღვაწეს ბრძოლის დროს მხარი დაუჭირე? კვალელი თუ არ ხარ, ამას იმიტომ სჩადიხარ, რომ მოღვაწე შენი ნათესავია ან ფულს გამოელი მისგან.

ეს არის კვალელების უმწიკვლო და უანგარო მიმართულება! გზა დაგვილოცნია, მაგრამ ასეთ „უმწიკვლო“ გზაზე სიარულს ჩვენ მათთან ვერ შევსძლებთ.

თუ მოკამათის გულწრფელობა და სინიდისიერობა არ გრწამს, კამათიც შეუძლებელია. უკანასკნელად კიდევ ვიტყვი, სულ მოკლედ, თუ რად თანავუგრძნობდით ბ. ზდანოვიჩს მის მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში და რად გვსურდა, რომ მას გაემარჯვნა. ოპოზიცია შესდგებოდა კვალელებისა და ექსპორტიორებისაგან. რომ ოპოზიციას გაემარჯვა, ვინ ჩაუდგებოდა სათავეში მარგანეცის საქმეს? ბრმა და უჭკუო უნდა იყოს ადამიანი, რომ ვერ დაინახოს, თუ ვის დარჩებოდა ბურთი და მოედანი.

ისეთ გაცხარებულს ბრძოლას რომელიმე მოღვაწის წინააღმდეგ, როგორიც მარგანეცის მრეწველთა უკანასკნელ კრებაზე იყო გამართული ბ. ზდანოვიჩის ჩამოსაგდებათ, მაშინ ექნებოდა აზრი, თუ უკეთეს მოღვაწის გაყვანის იმედი აქვს ოპოზიციას. იყო ასეთი გარემოება მრეწველთა უკანასკნელ კრებაზე? არა მგონი, რომ კვალელმაც-კი „ჰო“-თი გვიპასუხოს ამ კითხვაზე.

მაშ რად ატეხეს კვალელებმა ისეთი ალიაქოთი და განგაში? რად მოხსნეს პირი მოკამათის ცილისწამებისა და დამცირების გუდას? იმიტომ რომ უარესს უკეთესი ვარჩიეთ?

რაც შეეხება „კვალის“ დაკითხვას, თუ რით აიხსნება ის გარემოება, რომ ლალმა წინააღმდეგობა არ გაუწია ემერიკს მე III კრებაზეო, ეს ადვილი გასაგებია ყველასათვის, ვინც მიუდგომელად დაუკვირდება მარგანეცის კრების საქმეს. მაშინ, მე III კრებაზე, ბ. ემერიკი არ ცდილობდა მარგანეცის თვითმართველობისთვის ძირი გამოეთხარა, არ ჰლამობდა საბჭოს მოქმედების ხელში ჩაგდებას ექსპორტერთა სასარგებლოდ; გარდა ამისა, ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ბ. ზდანოვიჩს ემერიკები ვერ დაიყოლიებდნენ თავის სურვილზე; ეს იმედი მან კიდეც გაამართლა შავი-ქვის საზოგადოების დაარსებით.

# დაბა-სოფლები

**სვირი** (იმერეთი). ოთხი წელიწადია, რაც აქეთ აბრეშუმის მოყვანა შემოიღეს. ერთი მეორის მიხედვით, ყველამ მიჰყო ხელი მეაბრეშუმეობას, ყველამ გაიგო, რა სარგებლობა მოაქვს აბრეშუმის პარკს. წელს ყველანი მეცადინეობენ, ადრიანად შეიძინონ აბრეშუმის თესლი, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ზოგმა კიდევ ვერ გაიგო, როგორ უნდა მოუაროს აბრეშუმის ჭიას. ბევრი თავის უცოდინარობას არად აგდებს, და ყველაფერს თესლის უვარგისობას აბრალებს. ხშირად არც უამისობაა: კარგი თესლი ძნელი საშოვნელია. დააქვთ ჩარჩებს შეუმოწმებელი და უბანდეროლო თესლი და ატყუებენ ყველას. ბევრს არა სჯერა, რომ ამ ჩარჩების უბანდეროლო თესლი უვარგისია. ვინ გინდათ, რომ თესლს არა ჰყიდდეს სოფელში! ჩემის თვალითა ვნახე, რომ მელგინეს ჩაეწყო ხურჯინში თესლის კოლოფები, კურტნიან ცხენზე გადაკიდებული, და იძახოდა, ვის გინდათ კარგი და იაფი აბრეშუმის თესლიო? თუ კი სიიაფეს გაიგონებენ, შიგ თუ გინდა ქვა ეყაროს, მაინც-კი იყიდიან აქაურები. ბანდეროლი მათთვის ხომ ახალი ამბავია და არც ეძებენ, მხოლოდ კოლოფზე-კი ეხატოს აბრეშუმის ჭია.

იუსტინე.

—

**კორბოული** (იმერეთი). წელს სოფელ კორბოულში მეტად მძიმე ზამთარია, ქარ-ბუქიანი და ძლიერ ყინვიანი. თოვლი მოვიდა ერთის საჟენის სიმაღლეზე. ამ სოფლის მცხოვრებნი დიდ გაჭირვებაში არიან, რადგან შემოდგომაზე საკმაოდ ვერ მოემზადნენ შეშით ზამთრისთვის ხშირ და შეუწყვეტელ წვიმებისა გამო. მცხოვრებნი სახლებს ვერ ათბობენ, რის გამო გაცივებით ავად ხდებიან და აქედან ხურვებაც ემართებათ. დიდმა თოვლმა ხეხილის ხეები და ტყე დაამტვრია; ამავე თოვლმა რამდენიმე კაცი გამოასალმა წუთი-სოფელს; ბევრ შენობას კეთილი დღე არ დააყენა; სხვათა შორის, თოვლმა ძალიან დააზიანა შენობა სკოლისა, რომელიც არსებობს 1875 წლიდან. ამის გამო 18 თებერვლიდან სწავლა, ნაცვლად სკოლისა, სასოფლო საზოგადოების სასამართლოს ერთ დიდ განყოფილებაშია.

ი. მ—შვილი.

—

**მარდისუბანი** (კახეთი). ჩვენ სოფელში ორი დუქანია და ორივეში ყველაფერს მამასისხლად ჰყიდიან. დაბალის ხარისხის შაქარს, მაგალითად, ჰყიდიან გირვანქას 18 კაპეიკად, გირვანქა ნავთს 5 კაპ., საპონს 13 კაპ., ბრინჯს 10 კაპ. და სხვა. სოფელთან დადებულ ხელშეკრულების ძალით-კი ყველა სანოვაგე იმ ფასად უნდა ჰყიდონ, რა ფასადაც თელავში იყიდება, რადგან ჩვენი სოფელი თელავიდან ორის ვერსის მანძილზე მდებარეობს. თელავში კი ამ ჟამად გირვანქა კარგი შაქარი ჰღირს 15 კაპ., ნავთი $3^{1}/_{2}$ კაპ., საპონი 10-იდან 11 კაპ., ბრინჯი 8 კაპ.

თებერვალმა ისე გაიარა, რომ ხეირიანი ამინდი არ გვინახავს. გვეხაროდა, მარტი დადგება და იქმნება ეხლა მაინც გამოიდარებს, მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა. ეხლა უარესი დღეებია: ხან წვიმს, ხან თოვს, ხან იწმინდება. რაც მარტი დადგა, ისე დღე არ დაღამებულა, რომ არ გაავდრებულიყოს. შესამჩნევად ცივა. ამ ცუდ ამინდებს მოჰყვა ავადმყოფობა, ეგრედ წოდებული „მშვავი“, რაიც შესამჩნევად აზარალებს ხალხს როგორც სოფლებში, ისე თელავში. ყოველ დღე შეჰხვდებით ურმებს ავადმყოფებით, მიეჩქარებიან ექიმთან.

ცივის-კალთელი

## ორიოდე სიტყვა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შესახებ

თქვენის გაზეთის ერთ უკანასკნელ ნომერში ნათქვამია, რომ დაინტერესებულ პირთათვის ძალიან საძნელოა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების კრებებზე დასწრება, რადგან განყოფილება კრებების დღის შესახებ წინ-დაწინ არ აცხადებსო. ყოველივე ეს სიმართლეა, მაგრამ უფრო მეტად საყურადღებოა ის გარემოება, რომ ქუთაისის გუბერნიის მემამულეთა უმრავლესობამ სრულიად არაფერი იცის ამ განყოფილების არსებობისა და მოღვაწეობის შესახებ, რადგან ეს უკანასკნელი არსად არა ჰბეჭდავს კრებების ოქმებს. კიდევაც რომ ჰსურდეს ვისმეს, ძალიან ძნელია ქუთაისის სამეურნეო განყოფილების შესახებ ცნობების შეკრება, ან და იმის წევრად ჩაწერა, რადგან საზოგადოების წევრთა შორის ძვირად გამოიძებნება ისეთი, რომელმაც იცოდეს, ვის უნდა მიჰმართოს კაცმა, რომ ჩაეწეროს წევრად ან გაეცნოს საზოგადოების წესდებას. ამასთან აქაურ მემამულეთათვის ძალიან დიდია საწევრო გადასახადი—10 მანეთი.

საზოგადოდ, ამგვარი დაწესებულება უნდა სცდილობდეს რაც შეიძლება მეტი წევრი და თანამშრომელი მიიზიდოს. აქ კი, მგონია, წინააღმდეგ მოქმედებენ: დააარსეს საზოგადოება და ჩინურის კედლით შემოზღუდეს.

ქუთაისის გუბერნიის მემამულე.

## მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ

ქართველ ქალთა სამეურნეო ამხანაგობა „თამარ“ ატყობინებს მეაბრეშუმეებს შემდეგს:

1) ამხანაგობამ მიმდინარე წლის მეაბრეშუმეობისათვის დაამზადა საუკეთესო ჯიშის აბრეშუმის ჭიის თესლი და ავრცელებს სოფლებში შეღავათიან პირობებით.

2) მეაბრეშუმემ თავის დროზედ (თებერვალსა ან მარტში) უნდა შეიძინოს მხოლოდ იმდენი ჭიის თესლი, რამდენისათვისაც აქვს საკუთარი საჭიე სახლი და თუთის (ბჟოლის) ფოთოლი. 1—2 მისხალ თესლიდან გაცოცხლებულ ჭიის გამოსაკვებად საჭიროა 6 დიდი ან 15 საშუალო სიდიდის თუთის ხე.

3) ჭიის თესლი გაცოცხლებამდის უნდა ინახებოდეს ზომიერ ჰაერში. 8°—10° R. ჭიის თესლის გაცოცხლებას მეაბრეშუმე უნდა შეუდგეს იმ დროს, როცა ჰაერი კარგად გათბება და თუთის კვირტები გაშლას დაიწყებს. თესლი უნდა გაცოცხლდეს თბილ ოთახში, სადაც ჰაერის გათბობა შეიძლება თან და-თანობით 14—20 გრადუსამდე. უბეში ან ჯიბეში ჩადებით ან და მზე-

---

ერთს პიესასაც ვერ ვხედავთ. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ისე, შეიძლება, არავის არ ესაჭიროება იბსენის გაცნობა, როგორც ქართველ საზოგადოებას. მხოლოდ იბსენისთანა მწერლებს შეუძლიათ გამოგვაფხიზლონ, დაგვანახვონ ჩვენი ოჯახური და ცოლქმრული სიცრუე, საზოგადოებრივი საყალბე და მამულიშვილური თავისმოტყუილება, და ამით მოგვამზადონ ნამდვილ ცხოვრებისათვის.

ჩვენი წერილების საგანია, გავაცნოთ მოკლეთ მკითხველს იბსენის საზოგადოებრივი პიესები, რადგან ეს პიესები უფრო გასაგები და საინტერესონიც არიან ჩვენის საზოგადოებისათვის, თანაც მათში უკეთ გამოიხატება იბსენის სოციალური შეხედულებანი. მაგრამ იბსენის გასაცნობად საჭიროა თვალი გადავავლოთ გაკვრით საზოგადოთ მის ფიზიონომიას, მის იდეალს და მისწრაფებას, რამდენად ეს გამოიხატება სხვა პიესებშიაც. ჩვენს წერილებში შევეხებით აგრეთვე იბსენის დრამების გარეგან მხარეებს, მის ტეხნიკას, მხატვრულ საშუალებებს, იმ.ს, თუ რა შეიტანა იბსენმა ამ მხრივ დრამაში..

ძლიერ ადვილად გასაგებია იბსენის დრამების უმთავრესი იდეა. ყოველს მის პიესაში, როგორც ისტორიულსა, ისე თანამედროვე ცხოვრებიდან აღებულ პიესაში ერთი დედა აზრია გატარებული: ბრძოლა სიმართლისა და თავისუფლებისათვის, ბრძოლა ტყუილისა და მონობის წინააღმდეგ. ამ აზრით არის გამსჭვალული იბსენის პირველი დრამა „კატილინა“, ამ აზრს ჰქადაგებს მისი უკანასკნელი ნაწარმოები „როდესა ავსდგებით მკვდრეთით“. ამისათვის ებრძვის თანამედროვე საზოგადოებას, ამისათვის იცავს პიროვნებას, რომლისათვის თხოულობს, რაც შეიძლება, მეტსა და მეტს თავისუფლებას. იბსენს სძაგს ყველაფერი, რაც ჰბორკავს პიროვნებას და მის განვითარებას, პიროვნება მისი სათაყვანებელი საგანია, მისთვის აქვს აგებული საკურთხეველი, მას ანაცვალებს ყველაფერს. მისთვის თუ სიცოცხლე მხოლოდ სიმართლეზე აგებული ცხოვრებაა, ტყუილი და სიყალბე სიკვდილია, ეს სიმართლე და თავისუფლება ესმის როგორც სისხლით და ხორცით შემოსილი პიროვნება. თუ სიმართლე პირველი მოთხოვნილებაა ცხოვრებისა, ყველაზედ უწინარეს თვითონ პიროვნება უნდა იყოს სიმართლე, ყოველი ადამიანი ყოველთვის, ყოველ წუთს უნდა იყოს ერთგული თავის-თავისა, მართალი თავის პიროვნების წინაშე, ერთხელაც არ უნდა უღალატოს თავის პიროვნებას და თამამად უნდა ამბობდეს: მე-მე ვარ! თავის პიროვნების დაცვა, თავის პიროვნების განვითარება,—აი ადამიანის იდეალი, ცხოვრების საგანი! მთელი თავისი არსება უნდა შესწიროს ადამიანმა პიროვნების გაფართოვებას და განმტკიცებას. არაფრისათვის დედამიწაზე არ უნდა დათმოს თავისი „მე“, არ გაჰყიდოს ხარისხისათვის, ფულისათვის, სიყვარულისათვის (თუ კი შეიძლება სიყვარული იყოს იქ, სადაც შელახულია ადამიანის პიროვნება). არაფერი არ არის იმაზე უსაშინელესი ცოდვა, როგორიც არის თავის პიროვნების გაყიდვა.

ყოველს ადამიანს აქვს თავისი მოწოდება, თითქოს ბუნებისაგან თანდაყოლილი პიროვნება. ამ საკუთარის პიროვნების გაგებას, განვითარებას უნდა ესწრაფოდეს ადამიანი. მოწოდება უჩვენებს გზას პიროვნების განვითარებისაკენ. ეს გზა ძნელი და ხიფათიანია და იგი უნდა განვვლოთ ჩვენ. მხოლოთ მაშინ შევასრულებთ საკუთარის ცხოვრების დანიშნულებას, მაშინ მივიღებთ მონაწილეობას ისტორიაში. გავლა ამ გზისა სრულიად შეგნებულად, საკუთარის ნებით, საკუთარის პასუხის გების ქვეშ, უშიშრად და უკანდაუხევლად,—ეს არის პიროვნების შინაგანი სიმართლე, რომელსაც თხოულობს იბსენი ადამიანისაგან. ყოველი ადამიანი პასუხის მგებელია იმ მისიისათვის, რომელიც ბუნებამ და ცხოვრებამ დაავალა მას. იყავი მხოლოდ შენი საკუთარი პიროვნება, ყური უგდე მხოლოდ შენს „მე“-ს, შენს შინაგან ხმას, სინიდისს, ყოველთვის მოიქეცი მის თანახმად და ნურასოდეს ნუ დაემორჩილები სხვის ბრძანებას, სხვის ძალას, ანგარებას და გამორჩენის ანგარიშს,—ამბობს იბსენი. მისი გმირების ტრაგიზმი მარტო საკუთარის გზისა და პიროვნებისათვის ბრძოლაა, შეტაკება სხვა-და-სხვა სურვილსა და პიროვნების დაცვას შორის. დიდებულია მხოლოდ იგი, ვინც შეიგნო თავისი პიროვნება, თავისი მისია, მოწოდება და იცხოვრა თავის პიროვნების თანახმად! *)

კალამი

(შემდეგი იქნება)

---

*) იბსენი თაყვანის მცემელია პიროვნების და არა ეგოიზმისა, რასაც აშკარად დავინახავთ ქვემოთ.

ზე გამოფენით თესლის გაცოცხლება ძლიერ ცუდი და მავნებელია ჭიისათვის.

4) ჭიის რიგიანად მოსათავსებლად საჭიროა იმდენი ადგილი, რომ ჭია ერთმანეთზე არ ეყაროს. პატარა საჭიე სახლში რომ ბევრი ჭია მოთავსდეს, უნდა გაკეთდეს დასტები ან ჩაფარები თაროებად.

5) დღეში ოთხ-ხუთჯერ უნდა დაპურდეს ჭია არ უნდა დაპურდეს ჭია სველი ფოთლებით, რადგანაც საჭიე სახლში შეიძლება გავრცელდეს ძლიერ საშიში ავადმყოფობა „ფლაშერა“ და საუკეთესო თესლიდან გაცოცხლებული ჭიაც კი დაიხოცოს.

მეაბრეშუმემ საჭიე სახლი უნდა შეინახოს ძლიერ სუფთად და ყოველ დღე გამოუცვალოს ჭიას ნაძირალი (ჯენჯი).

6) სხვა-და-სხვა თვისების ან ფირმის თესლიდან გაცოცხლებულ ჭიის გამოკვება ერთსა და იმავე საჭიე სახლში არ შეიძლება, რადგან თუ საეჭვო თესლიდან გაცოცხლებულ ჭიას ავადმყოფობა გაუჩნდა, საღ-თესლის ჭიასაც გადაედება.

7) ამხანაგობა მიიღებს სოფლელებისაგან დაშუშებულ და სუფთად გაწმენდილ აბრეშუმის პარკს რიგიან ფასებში.

8) თანახმად წესდებისა, ამხანაგობის წევრს-მეაბრეშუმეს ეძლევა შემდეგი უპირატესობა არა-წევრთან შედარებით: ყველა წევრი, ვინც-კი ამხანაგობას მიიტანს პარკს, გარდა იმისა, რომ მაშინვე მიიღებს მთელს ხალიჩალს არსებულ ფასების კვალობაზე, შემდეგ ოპერაციის დივიდენდის გარდა იღებს დამატებითი ფასს იმის დაგვარად, თუ რამდენი ფუთი პარკი მოიტანა ამხანაგობას.

9) ვინც ამხანაგობის წევრად მოისურვებს ჩაწერას, მას შეუძლიან წილის ფულის (10 მან.) მაგივრად ერთი ფუთი პარკი შემოიტანოს. წილის ფულის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

10) დაწვრილებითი ცნობები ჭიის თესლის და პარკის ალებ-მიცემობის შესახებ მსურველს შეუძლიან მიიღოს ამხანაგობის გამგეობისა და აგენტებისაგან: სოფ. ახალქალაქში: (სადგური გრაკალი) კნ. თამარ და ალექსანდრა თარხნიშვილებისაგან, მეტეხში—მასწავლებელ ბაბალოვისაგან, ტარძანისში—ქ. მ. რ. სუდხანოვისაგან, ქვემო ჭალაში—კნიაჟ. მართა ამილახვრისა და კნ. მ. ფალავანდიშვილისა და სკოლის ზედამხედველ მ. ს. ქარციგაძისაგან, მუხრანში—მღვდელ გ. მარიდაშვილისაგან, რუისში—ქ. ქ. ბ. გულისაშვილისა და დეკანოზიშვილისაგან სოფ. ხოვლეში—კნ. ჯავახიშვილისაგან, კასპში—ი. ი. ჭაჭანაძისაგან, გეხისჯვარში—გ. გ. ქუთათელაძისაგან, ქარელში—ჟ. ა. ციციშვილისაგან და ცხინვალში—ი. ო. იოსელიანისაგან.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 მარტი.

**პეტერბურგი.** „კანონთა კრებულში“ გამოცხადებულია, რომ კვლავ ნებადართულია ცხენები გაიყვანონ ბესარაბიის, ვოლინის, ეკატერინოსლავის, პოდოლის, პოლტავისა და ხერსონის გუბერნიებიდან; აგრეთვე ნებადართულია, რომ ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა საურთიერთო კრედიტის საზოგადოებამ სესხი გასცეს ხოლმე მსწრაფ მბეჭდავ მანქანების გირაოთი.

**კამიშლოვი.** მაზრაში ძალიან გავრცელდა მუცლის ჭირისა და დიფტერიტის ეპიდემია ბავშვებზე; სენის წინააღმდეგ ენერგიული ღონე იღონეს. ყვავილის ეპიდემია თან-და-თან სუსტდება.

**პერმი.** გაიხსნა პირველი კრება ურალის რკინის მრეწველთა და მეადგილეთა. ამგვარი კრებები წელიწადში ორჯელ მოხდება პერმში: მარტის 10-დან 17-მდე და სექტემბრის 15-დან 22-მდე.

**ჰელსინგფორსი.** გაზეთი „ტამპერეს უუტისენ“ იტყობინება, რომ დანიის მთავარ კონსულად ჰელსინგფორსში ინიშნება ვაზასის გუბერნატორად ნამყოფი ბიერნსბერგი.

**სოფია.** ტყუილია ის ამბავი, ვითომც რუსეთის საიდუმლო აგენტები თვალ-ყურს ადევნებენ მაკედონიის საზღვარზე ბოლგარიის მთავრობის მიღებულ ღონისძიებათა წესიერ ასრულებას მაკედონელთა კომიტეტების წინააღმდეგ.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატა. მთავრობას დაეკითხნენ—გარკვად მიდის თუ არა რეფორმების საქმე მაკედონიაში? კრანბორნმა უპასუხა, რომ მას ხელთ არა აქვს ამის შესახები ცნობები. ინგლისის კონსულებს დაევალათ თანხმობით იმოქმედონ რუსეთისა და ავსტრო-ჰუნგრეთის კონსულებთან რეფორმების განხორციელების საქმეში.

**სანტო-დომინგო.** ქალაქი ინსურგენტებმა ჩაიგდეს ხელში.

**პარიზი.** სენატი. მთავრობას დაეკითხნენ მაკედონიის საქმეების შესახებ. დელკასემ უპასუხა, რომ საფრანგეთი უყურადღებოდ არ სტოვებს მაკედონიის საქმეს; საფრანგეთი მხოლოდ სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმებით იმოქმედებსო.

**ნიუ იორკი.** სენ-ვინცენტიდან იტყობინებიან, რომ 4 მარტს სუფრიერის ვულკანმა ამოხეთქა ძლიერი ქვის წვიმა და ფერფლი. ბევრი დაიღუპა.

**კაპშტადტი.** გუბერნატორმა ნება დართო განთავისუფლონ ყველანი, ვინც პოლიტიკურ მიზეზებისა გამო იყვნენ დაპატიმრებულნი. ერთი ნაწილი კიდეც განთავისუფლდეს; ამ კვირის ბოლოს ყველას განთავისუფლებენ.

12 მარტი.

**პეტერბურგი.** გაზეთები იტყობინებიან, რომ 11 მარტს დრეზდენში გარდაიცვალა ცნობილი ხელოვანი ვილლევალდი.

„პრავიტ. ვესტნ.“ იტყობინება, რომ მთავრობა დელეგატებს ჰგზავნის საერთაშორისო კონგრესებზე დასასწრებლად: რომში, მიწათ-მოქმედების კონგრესზე აპრილის 19-დან მაისის 23-დე (ახ. სტილით) და ბერლინში, ქიმიის კონგრესზე 20 მაისიდან 26-მდე; რომში—ტაინი სოვეტნიკს ფოშერ ფონ-ვალდეგემს, ბერლინში—დ. სტ. სოვ. გერნს.

**ლონდონი.** მუკდენიდან დაწყებული სხვა-და-სხვა ადგილს მიწის ძვრა მოხდა ლინში, მცხოვრებნი გარედ გამოცვივდნენ, ზოგან საკომლე მილები ჩამოინგრა; დაწყდა ტელეფონის მავთულები. თვალსაჩინო ზარალი არსად ყოფილა.

**სოფია.** ტახტის მემკვიდრე და მთავრის სხვა შვილები მენტონს წავიდნენ. მთავარი დარჩება, ვიდრე არ მოისპობა მინისტრებს შორის უთანხმოება. ჩამოვიდა რამდენიმე უცხოელი კორესპონდენტი საქმის გასაცნობად და მაკედონიაში წასასვლელად.

**ნიუ იორკი.** პორტ ოფ-სპაინიდან იტყობინებიან, რომ გემის „პალდას“-ის უფროსი უარ-ჰყოფს ხმას გემის „რესტორადორ“-ის მოპყრობის შესახებ.

**ბერლინი.** რეიხსტაგმა დაასრულა მესამე წაკითხვა ბიუჯეტისა და სხდომა 3 აპრილამდე შესწყვიტა.

**პარიზი.** კლემანსო თხოულობს ვატიკანში საელჩოს გაუქმებას. დელკასემ განმარტა, რომ საფრანგეთისა და ვატიკანს შორის ურთიერთობაში ისეთი არა მოიძებნება-რა, რაც საჭიროდ ჰხდიდეს საელჩოს მოსპობას. კლემანსოს წინადადება უარყოფილ იქმნა.

**ლონდონი.** დერბიის ოლქში სუსტად იძრა მიწა.

**ვილლემსტადტი.** გენერალმა მატოსმა შეატყობინა ვენეცუელის ვიცე პრეზიდენტს, რომ, თუ ვინიცობაა, კონგრესი კასტროსაგან სამსახურიდან გადადგომის თხოვნას შეიწყნარებს, მე მთელს ჩემს გავლენას მოვიხმარ, რომ ინსურგენტებმა ბრძოლა შესწყვიტონო.

**ბელგრადი.** კონფერენციამ, რომელიც შესდგება ყველა ოლქების დეპუტატთაგან, დაადგინა დაეხმარონ მთავრობას არჩევნების დროს. ამასთანავე გამოსთქვა კონსტიტუციის გადასინჯვის საჭიროება ცინცარ მარკოვიჩის პროგრამის მიხედვით. კონფერენცია დამოუკიდებლებისა და ზომიერ რადიკალებისაგან შესდგებოდა.

**პეტერბურგი.** საზღვაო შტაბის უფროსი ვიცე-ადმირალი აველანი საზღვაო სამინისტროს გამგედ დაინიშნა.

—„პრავიტ. ვესტ.“-ში დაბეჭდილია ცნობა მიწათ-მოქმედების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტისა, რომ დუკრიენის ფირმამ დაარსა 500 მანეთიანი პრემია სასოფლო-სამეურნეო მიხაარსის საუკეთესო თხზულებისათვის. პირველ კონკურსის ტემა: 1) მსხვილფეხა საქონლის გამოკვება, 2) მექანიკური მუშუშაობა ნიადაგისა. პრემია მიეცემათ 10 წლის განმავლობაში 1905 წლიდან დაწყებული ყოველს წელიწადს.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

## [illegible]

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

### ა) ტფილისიდან მიდის:

**ბათუმს:**—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 06 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ბაქოს:**—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (საშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

**ყარსს:**—1) საფოსტო № 7/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლის № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

**მიხაილოვოსა და ბორჯომს:**—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

### ბ) ბათუმიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ:**—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

**ყორაპანამდე:** საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.

### გ) ბაქოდან გამოდის:

**ტფილის-ბათუმისაკენ:**—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევს 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.).; 3 სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით) პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს, 58 წ.).

### დ) ქუთაისიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ:**—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს 38 წ.).

**ბათუმისაკენ:**—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

**ყორაპნისაკენ:**—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ)

### ე) ფოთიდან გამოდის:

**რიონ-ქუთაისამდე:**—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

**სამტრედია-ბათუმამდე:**—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

**სამტრედია-ბაქომდე:**—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 . 28 წ.).

# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა იწვევს ყველა იმ პირთ,** რომელთაც ჰსურთ იკისრონ ტფილისის ცეცხლის მქრობელ რაზმისათვის შენობის აგება იჯარით, სულ მასალიანათ ან ნაწილ-ნაწილ: ქვისა, სადურგლო, საკალატოზო და სხვა სამუშაო. შენობის აგება უნდა დამთავრდეს ამ წლის 1-ლ სექტემბერს. ვინც მუშაობის ერთ რომელსამე ნაწილს იკისრებს, უნდა აღინიშნოს ვადა, როდესაც დაასრულებს ნაკისრ მუშაობას. მუშაობის სწორად გაკეთებისა და მასალის ვარგისობის უზრუნველყოფისათვის მოიჯარადრეს გამოერთმევა ბე 10% მუშაობის ან მასალის ღირებულობისა. მსურველთ განცხადება უნდა წარუდგინონ გამგეობას 22 მარტის ნაშუადღევს 2 საათამდე. გეგმისა, ხარჯთ-აღრიცხვისა და პირობების ნახვა შეიძლება გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 12 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. (ნ. 3—1)

**ტფილისის ქალაქის გამგეობა**

აცხადებს, რომ ამა წლის 19 მარტს, ნაშუადღევის პირველ საათზე, მოხდება **საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც იჯარით გაიცემა ქალაქის მიწის ნაჭერი მე-10 ნაწილში, ზომით 450 ოთხ-კუთხი საჟენი. საზღვრები: ჩრდილოეთით—მოშტაიდის ვიწრო ქუჩა, აღმოსავლეთით—ანდრეევის ქუჩის გაგრძელება, სამხრეთით—ქალაქის მიწა, რომელიც იჯარითა აქვს ალადაგოვს, და დასავლეთით—ქალაქის მიწა, საცაც შეშისა და ხე-ტყის საწყობია.

მსურველთ პირობების გასინჯვა შეუძლიანთ გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეს გარდა, დილის 9-დან ნაშუადღევის 3 საათამდე. დაბეჭდილი კონვერტები მიიღება საჯარო ვაჭრობის დღეს, 9 საათამდე. (ნ. 2—1)

## ტფილისის ქალაქის
# გამგეობა

სავალდებულო დადგენილებათა მე-13 §-ის ძალით, მეეტლეობის ხელობის შესახებ ქალაქ ტფილისში, ამით აუწყებს ეტლების პატრონს, რომ 14 მარტს, პარასკევს, ნაშუადღევის 3 საათზე, ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია სუბუქ მეეტლეთათვის უსტაბაშებისა და მათ კანდიდატების არჩევნები, ხოლო მძიმე მეეტლეთათვის (პოვოსკებ დროგების პატრონთათვის) 16 მარტს, კვირას, დილის 10 საათზე. (3—2)

# ქუთაისში
ამ. ბ. თოფურიას
# სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, ქირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—1)

## ჭიათურის საურთიერთო-
# ბანკი

ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 26 მარტს დილით 10 საათზე. ჭიათურის სახალხო თეატრის დარბაზში დანიშნულია **საზოგადო ჩვეულებრივი კრება წევრთა.**

განსახილველი საგნები: 1) ანგარიშის განხილვა და დამტკიცება; 2) სარევიზიო კომისიის მოხსენების განხილვა; 3) 1903 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება; 4) შეცვლა წესდების ზოგიერთ §§-თა; 5) არჩევანი საბჭოს ოთხი წევრისა, ნაცვლად თ.თ. ბ. წერეთლისა, დ. ლიონიძისა, ბ. ბ. ჯ. იაშვილისა, ნ. წერეთლისა და გამგეობის ერთის წევრისა თ. კ. პ. თუმანიშვილისა და სარევიზიო კომისიის წევრთა, რომელთაც სამსახურის ვადა გაუვიდათ. (ნ. 3—2)

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

# ფარმაცევტთა ამხანაგობა

ტფილისი

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ).

**ტელეფონი № 741.**

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი მზა წამლები (პატენტ-მიღებული), საოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებელი ნივთიერება, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და პირის მოსაპობი) წამლები, აფთიაქის და ლაბორატორიისთვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელი საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ.-და-სხვა.

ადრესი ფოსტისა და ტელეგრამისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ. (100—14)

# განცხადება

ვაჭრობა ფართლეულობის საქონლით დაბა ყვირილაში რაფიელ გველესიანისა.

პატივი მაქვს ვაცნობო შორაპნის მაზრის საზოგადოებას, რომ მაღაზია, რომელიც ყვირილის სადგურის პირ-და-პირ მქონდა, გადავიტანე ზედა ხიდის გვერდზედ.

მაღაზიაში იპოვება ყოველ გვარი ახლად მიღებული კარგი საქონელი. იმედი მაქვს, საზოგადოება უყურადღებოდ არ დასტოვებს ოცდა ათის წლის გაცნობილს მაღაზიას. საქონელი იყიდება დაკლებულ ფასად.

შორაპნის მაზრის საზოგადოების პატივის მცემელი **რაფიელ გველესიანი.** (20—16

Дозв. ценз. Тифлисъ, 12 марта, 1903 г.
ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)